№ 167 მთავრობის ორგანო

საქართველოს რესპუბლიკა

ყოველდღიური გაზეთი. წელიწადი მეორე

ფასი 1 მანეთი. ოთხშაბათი 30 ივლისი 1919 წ.

მთავრობის ორგანო, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
„საქართველოს რესპუბლიკა“
მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის. ხელის მოწერის ფასი: ერთი წლით 220 მ., ნახევარი წლ. 110 მ., 1 თვით 20 მ., ცალკე № ყველგან 1 მან. სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით. გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 9 ს. ნაშუადღ. 2 ს. ბარონის ქ. № 6, ტელეფონი 1—82.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული სამუსიკო საზ-ბის და ამიერ კავკასიის კოოპერატივთა კავშირის

ქაპელა

(ქალ-ვაჟთა მომღერალთა გუნდი—40 სულიდან).

კომპოზიტორ
დ. არაყიშვილის ლოტბარობით
შეასრულებს ქართველ კომპოზიტორთა
სრულიად ახალ თხზულებებს.

1. ფრონტი
2. გაგრა
3. სოხუმი
4. ბათომი
5. ოზურგეთი
6. სამტრედია
7. ქუთაისი
8. ხონი
9. ჭიათურა
10. ზესტაფონი
11. ფოთი
12. ზუგდიდი
13. აბაშა
14. სამტრედია
15. ქუთაისი
16. ხაშური
17. ბორჯომი
18. წალვერი
19. გორი

10 აგვისტოდან გაემგზავრება დასავლეთ საქართველოში და გამართავს კონცერტებს შემდეგ დაბა ქალაქებში:
პროგრამმა ადგილობრივ გამოცხადდება.
1330 1—1

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ტფილისის თვითმართველობაში

გაცემული სურსათის ანგარიში

მიცემული მცხოვრებლებისათვის სასურსათო განყოფილებიდან. 1 იანვრიდან 1 მარტამდი: 1998 ფუთი, 1 სამი-მეოთხედი გირ. შაქარი, 9813 ფუთი. 8 ნახევარი გირ. შავი პური. ხის ნახშირი—1944 ფუთი 1 ნახევარი გირ., მარილი—3497 ფუთი, 6 ნახ. გირ., ნავთი—4176 ფუთი 1 მარტიდან 1 ივლისამდე: შაქარი—6064 ფუთი 35 ერთი მეოთხედი გირ., შავი პური 11295 ფ. 16 ერთი-მეოთხედი გირ., შავი პური კანადის პურის და სიმინდის ფქვილით ნარევი—6048 ფუთი 7 ნახევარი გირვანქა, სიმინდის 5809 ფუთი 1 ნახევარი გირ. თეთრი კანადის პური—36845 ფუთი, 24-სამი მეოთხედი გირ., ხის ნახშირი—1484 ფუთი, 18 გირ. მარილი—8226 ფუთი, 26 გირ., საპონი 2551 ფუთი, პერლოვი კრუპა—246 ფუთი, 11-ნახევარი გირ. ლობიო—565 ფ. ნავთი 7827 ფუთი, 25 გ. ბრინჯი—234 ფუთი 15 გირ. ზეთი—249 ფ. სიმინდის ფქვილი—1249 ფუთი.

მორჩენილი პარკის გაყიდვა

ქალაქის თვითმართველობის სასურსათო განყოფილებას აქვს მრავალი სხვა და სხვა გვარი მორჩენილი ნაჭრები—ნახევები და დამპალი პარკები, რომლებიც გამოდგებიან იატაკების და ვაგონების საწმენდათ. ფასი ერთი ფუთისა 50 მან. მათი შეძენა შეიძლება განუსაზღვრელ რაოდენობით.

იაფათ ყინულის მიღება

ქალაქის თვითმართველობა აცხადებს, რომ გირვანქა ყინულის 50 კ. მიღება შეიძლება ქვემო ჩამოთვლილ კონტრ-აგენტებთან შემდეგი მისამართით: 1. შავი ზღვა—კავკასიის შრომის არტელი—დიდი მთავრის ქუჩა 40. 2. გამბურგი—ნიკოლოზის ქუჩა 101. 3. ჯარაბნელოვი—სოლდ. ბაზ. თევზ. სავაჭრო. 4 ჯანშიევი—მეტეხის ქუჩა 34. 5. ეველბაუმი—გრიბოედოვის 13. 6. ქართული კლუბი. 7. ახვერდოვი—რესტორან ფრასკატი. 8. მეეროვი—ნიკოლაევის ქ. 6, ვორონცოვის ძეგლთან. 9. გრიგოლოვი—ვანის შესახვევი 26. 10. არუთინოვი—ავლაბ. მოედ. თევზით სავაჭრო. 11. სპექტორი ანდრეევის ქ. 44. 12. პაპაშვილი—„ვინნი პოდიომი“ 61. 13 გველესიანი—გუდოვიჩის ქ. 6.
1320 1—1

საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო სამინისტროს ადმინისტრატიული განყოფილება

აცხადებს, რომ 12 მომავალს აგვისტოს, დღისით 12 საათზე, ხსენებულ განყოფილების შენობაში დანიშნულია პირადი და წერილობით განცხადებით საჯარო ვაჭრობა 20.000 ლეიბის პირის და 20.000 ბალიშის პირის შეკერვაზე საქართველოს რესპუბლიკის ჯარისათვის. ვაჭრობა შეუძლიათ მათ, ვისაც აქვთ საამისო კანონიერი უფლება. ვისაც სურს მიიღოს მონაწილეობა პირად ვაჭრობაში უნდა წარმოადგინონ 12 აგვისტოს, 12 საათამდე, საწინდარი არა ნაკლებ 5.000 მანეთისა და აგრეთვე განცხადებანი, რომელშიც უნდა აღნიშნონ თავისი სურვილი პირად ვაჭრობაზე და ისიც, რომ კისრულობენ ზემო ხსენებულ ლეიბის და ბალიშის პირების შეკერვა-ჩაბარებას, თანახმად პირობებისა და დამტკიცებულ ნიმუშებისა. ყველა წარმოდგენილ განცხადებაზე დაკრული უნდა იყვეს ოთხი მანეთის ღირებული სადერბო მარკა.

ვისაც სურს ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება დაბეჭდილ პაკეტებით, თავიანთ განცხადებაში უნდა აღნიშნონ უკანასკნელი გადაჭრილი ფასები თითო ლეიბის და ბალიშის პირის შეკერვაზე. ეს ფასი უნდა იყვეს დაწერილი, ანუ დაბეჭდილი, სიტყვით და არა ციფრებით და აგრეთვე წარმოადგინონ იგივე საწინდარი 5.000 მანეთი, დანარჩენი პირობები იგივეა როგორც პირადი მოვაჭრეების პირობებისა.

ლეიბის და ბალიშის სანიმუშო პირების ნახვა შეიძლება ყოველ დღე გარდა კვირაუქმე დღეებისა, ცხრა საათიდან პირველ საათამდე სამხედრო სამინისტროს ადმინისტრატიულ განყოფილებაში, ბარიათინის ქ., № 10.
1328 3—2

საქართველოს რესპუბლიკის ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების

წევრთა რწმუნებულების საერთო საგანგებო სხდომა, რომელიც დანიშნული იყო 30 ივლისს, გადაიდო შემდეგ დროისათვის. დღე კრების მოწვევისა ცალკე იქნება გამოცხადებული.

გამგეობა

ოფიციალური განყოფილება.

დეკრეტი

დაბა ონის-სოფელ მოედნითურთ ქალაქ ონად გამოცხადებისა.

1. დაბა ონი-სოფელ მოედნითურთ-გამოცხადდეს ქალაქ ონად.

2. გავრცელდეს ქალაქ ონზე საქალაქო დებულების მოქმედება.

3. საბჭოს ხმოსანთა რიცხვი განისაზღვროს ოცით.

4. საბჭოს პირველი არჩევნების მოსახდენად ყოველი ის უფლება და მოვალეობა, რომელიც ქალაქთა საბჭოების ხმოსანთა არჩევნების 1918 წლის დეკემბრის 17-ს დებულებით (კან. კრებ. 1918 წ., კან. მე-116) მინიჭებული აქვს ქალაქის გამგეობას, გადავიდეს რაჭის მაზრის ერობის გამგეობაზე.

5. დეკრეტი ესე შედის ძალაში დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1919 წ. ივლისის 18 ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი

ალ. ლომთათიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

განკარგულებანი

შინაგან საქმეთა სამინისტროსი.

22 ივლისი, 1919 წ., № 74.

დათხოვნილ იქნენ: შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ ტეხნიკურ სათათბიროს წევრი ინჟინერი იოსებ ივანეს ძე კოგნოვიცკი და იმავე სათათბიროს საქმის მწარმოებელი მათე ილიას ძე ერმოშკევიჩი თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან, ავადმყოფობის გამო 4 თვის განმავლობაში სამსახურში გამოუცხადებლობის გამო ამა წლის 9 ივლისიდან.

23 ივლისი, 1919 წ., № 75.

დათხოვნილ იქნენ: ტფილისის საგუბერნიო ბატალიონის ოფიცრები პრაპორშჩიკები: საყვარელიძე და ჯაფარიძე ბატალიონში სამსახურიდან, ამა წლის 1 ივლისიდან, სამსახურში გამოუცხადებლობის გამო.

მინისტრის ამხანაგი

ჭიჭინაძე.

კანცელარიის დირექტორი

აფაქიძე.

არა ოფიციალური განყოფილება

მთავრობაში

22 ივლისის სხდომა

1919 წ. 13 ივნისის დეკრეტის მოქმედების განგრძობა.

ფინანსთა მინისტრის მიერ წარმოდგენილი დეკრეტი 1919 წლის 13 ივნისის დეკრეტის, სახელმწიფო დაწესებულებათა შესანახად ყოველთვიურად 65,827,720 მან. გადადების შესახებ, მოქმედების სექტემბრის, ოქტომბრის და ნოემბრის თვეებში განგრძობისა მიღებულ იქნის და გადაეცეს დამფუძნებელ კრებას.

შემსყიდველი ბიუროს მთავარ მიმწოდებელ სამართველოსათვის გადაცემა

ოცი მილიონიანი ფონდი, სავალიუტო საქონლის და სხვა საქონლის შესაძენად გადადებული და აგრეთვე მთელი საქმის წარმოება მთავრობასთან არსებულ შემსყიდველ ბიუროსი გადაეცეს მთავარ მიმწოდებელ სამმართველოს.

სურსათის შესაძენად 50,000,000 მ. გადადება

დეკრეტი მთავრობის განკარგულებაში 50 მილიონი მანეთის გადადებისა სურსათის შესაძენად მიღებულ იქნას და გადაეცეს დამფუძნებელ კრებას.

საშუალო სკოლის რეორგანიზაცია.

დადგენილ იქნას: 1. პირველ დაწყებითი სკოლა 7—8 წლიანია და ევალება განათლების სამინისტროს სათანადო გეგმის გამომუშავება საყოველთაო სწავლის შემოსაღებად;

2. საშუალო სკოლა ოთხ წლიანია,—უკანასკნელ კლასებში სხვა და სხვა დარგებათ იყოფა (ბიფურკაცია)

მომავალ სასწავლო წელში: 1. გაუქმებულ იქნას საერთო განათლების საშუალო სკოლებთან არსებული მოსამზადებელი კლასები;

1919/20 და 1920/21 სასწავლო წლების განმავლობაში არსებულ საზოგადო განათლების საშუალო სკოლის და აგრეთვე საკომერციო სკოლების პირველი ოთხი კლასი გადაკეთებულ იქნას უმაღლეს დაწყებით სკოლებათ.

3. ლათინური ენა, როგორც სავალდებულო საგანი გამორიცხულ იქნას საშუალო სკოლის სასწავლო გეგმიდან.

შინაგან საქმეთა სამინისტროში

ყაჩაღობა სიღნაღის მაზრაში.

სიღ. წნორის წყალიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს დეპეშით აუწყებენ, რომ მაზრაში და განსაკუთრებით ჭიაურის ტყესთან თითქმის ყოველ-დღე ხდება ძარცვა, რის გამოც საჭიროა შესაფერი ზომების მიღება.

შიმშილობა რაჭაში.

რაჭის სამაზრო ერობის გამგეობის თავმჯდომარე ლომჯანიძე შინაგან საქმეთა სამინისტროს დეპეშით აუწყებს, რომ დენიკინელები ჩრდილოეთ კავკასიიდან რაჭაში არავითარ სურსათს არ უშვებენ, რის გამოც შიმშილობა დაიწყო. ერობას იმდენი თანხა არა აქვს, რომ ფართე სასურსათო ოპერაციები აწარმოოს.

ახალ-ქალაქის მაზრის გლეხების გაჭირვება

ახალ-ქალაქის მაზრის კომისარი შინაგან სა-

ქმეთა სამინისტროს დეპეშით აუწყებს, რომ ცელების უქონლობის გამო მცხოვრებლებს თივა გაუცელავი რჩებათ. მიღებული 199 ცელი ლტოლვილთა სოფლებს დაურიგდათ და თითო სოფელს ორი ცელი შეხვდა. კომისარი შუამდგომლობს სამინისტროს წინაშე, რაც შეიძლება მალე გაიგზავნოს ცელები გლეხებისთვის. ეს შუამდგომლობა მიწათ-მოქმედების სამინისტროს გადაეცა.

ბოროტ-მოქმედებანი თიანეთის მაზრაში

ოფიციალურ ცნობებით 1—15 ივნისს თიანეთის მაზრაში მომხდარა ორი თავდასხმა, ორჯერ ქალის გატაცება და მკვლელობა ერთგან, სადაც ორი კაცი იქნა მოკლული და ერთგან სროლა მილიციელებსა და ყაჩაღთა შორის. ამჟამად მაზრაში სრული სიწყნარეა.

ახალციხის მაზრ. კომისარის შუამდგომლობა

ახალციხის მაზრის კომისარი შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე შუამდგომლობს, რომ რადგანაც სოფლები თითქმის სრულიად განადგურებულია, გადასახადების მოკრება დროებით შეაჩერონ მოსავლის მოკრებამდე.

ცნობილ ყაჩაღების მოკვლა

ზუგდიდიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს აუწყებენ, რომ 24 ივლისს სროლის დროს მოკლულ იქნენ ხორგის კომისრის მკვლელები ცნობილი ყაჩაღები ბაძალუა დ სასანია.

საქართველოს სამხედრო გზაზე

24 ივლისს საქართველოს სამხედრო გზაზე ქვიშეთის რაიონში ფოსტის ავტომობილს თავს დაესხნენ უცნობი ბოროტმოქმედნი. ავტომობილიდან სროლით უპასუხეს მილიციელებმა და ოფიცრებმა. სროლის დროს დაიჭრა კაპიტანი ციტაძე, პორუჩიკი ახობაძე ავტომობილიდან გადმოსვლის დროს დაშავდა. ყაჩაღებმა ვერაფერი წაიღეს და გაიქცნენ.

სახალხო განათლების სამინისტრო

საქართველოს გეოგრაფია.

ხაშურის ვაჟთა გიმნაზიის ინსპექტორმა **გიორგი** მოსესძე **ჯანაშვილმა** განათლების სამინისტროსთან არსებულ სასწავლო კომიტეტის სათანადო კომისიას წარუდგინა თავის ხელთნაწერი სახელმძღვანელო: „საქართველოს გეოგრაფია“, გიმნაზიის მეშვიდე კლასის კურსი. სახელმძღვანელო მეტად საინტერესოთ არის შედგენილი და დიდძალს მასალას შეიცავს. მრავალი რუქა, ქარტოგრამები, დიაგრამები, სახელმძღვანელოს აქვს დართული. მანვე წარადგინა სამინისტროში პროფ. ბრონუნოვის „საზოგადო გეოგრაფია“.

ალსანიშნავია, რომ განათლების სამინისტროს საქართველოს გეოგრაფიის სახელმძღვანელო ჯერ არავისგან არ მიუღია, გარდა ს. რობაქიძისა.

კლასის მანდილოსანთა ინსტიტუტის გაუქმების შესახები ცირკულიარი.

განათლების სამინისტრომ ამ დღეებში რესპუბლიკის ქალთა საშუალო სასწავლებელთა უფროსებს შემდეგი ცირკულიარი დაუგზავნა:

„ძველის სასკოლო სისტემის ერთ-ერთი მთავარი ნიშანთაგანი იყო ქალთა საშუალო სასწავლებლებში კლასის მანდილოსანთა ინსტიტუტი, მემკვიდრეობით მიღებული ბიუროკრატიული სკოლისგან, გამომხატველია ანტი-პედაგოგიური დუალიზმისა აღზრდის და სწავლების შორის. მისი შეუფერებლობა ახალი სკოლის მოთხოვნილებებთან უკვე იცნო ჩვენი რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანომ, რომელმაც პრინციპიალურად გადასწყვიტა ამ ინსტიტუტის გაუქმება.

მიიღო რა ყველა ეს მხედველობაში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ (1919 წლ. 16 ივლისს) დაადგინა, რომ კლასის მანდილოსანთა ინსტიტუტი გაუქმებული იქნეს მომავალ სასწავლო წლიდან.

ამისათვის გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის პირველ სექტემბრიდან ქალთა საშუალო სასწავლებლებში კლასის მანდილოსანთა თანამდებობა ისპობა.

კლასის დამრიგებლობის ასრულება თვითოეულ კლასში ეკისრება ვაჟთა საშუალო სასწავლებლებში მიღებული წესით ამ კლასის ერთ-ერთ მასწავლებელ-ქალს. ის პირნი, რომელნიც ითვლებიან კლასის მანდილოსნებათ, განთავისუფლებულ უნდა იქმნან ამ თანამდებობისგან მიმდინარე წლის 1 სექტემბრიდან არსებული სალიკვიდაციო წესის დაცვით (იხ. კანონი სახელმწ. დაწეს. მოსამსახ. სალიკვიდაციო შემწეობისა).

გთხოვთ წარმოადგინოთ სათანადო სალიკვიდაციო ანგარიშით სია იმ კლასის დამრიგებელ მანდილოსანთა, რომელნიც ამ ცირკულიარით შტატს გარეშე დარჩებიან“.

საუწყებათაშორისო კომისიის სხდომა.

გუშინ საღამოს ხუთ საათზე დანიშნული იყო პირველი სხდომა იმ საუწყებათაშორისო კომისიისა, რომელსაც დამფუძნებელ კრების მიერ მიღებულ კანონის ძალით, დავალებული აქვს შეიმუშავოს წესი საზღვარ-გარედ სწავლა-განათლების ან სპეციალურ ცოდნის მისაღებად გასაგზავნ ახალგაზრდათვის გადადებულ სასტიპენდიო თანხის განაწილებისა. კომისიაში, რომელსაც სახალხო განათლების მინისტრი თავმჯდომარეობს, შედიან: დამფუძნებელ კრების კომისიათა, სახელმწიფო უნივერსიტეტის, გზათა, იუსტიციის, მიწათ-მოქმედების და ფინანსთა სამინისტროების წარმომადგენელნი.

ეკონომიური ცხოვრებისათვის

მონოპოლიები.

საქართველოში სურსათისა და პირველ საჭიროების საგნების შემოზიდვის გასაფართოებლად მთავრობას განზრახული აქვს შემოიღოს მთელი რიგი საქონლის მონოპოლიისა. ამ მონოპოლიების ნაწილი უკვე განხორციელებულია, ხოლო ნაწილი ეხლა ტარდება ცხოვრებაში. განზრახულია მონოპოლიის შემოღება შავ-ქვაზე, მატყლზე, აბრეშუმის პარკზე, კონიაკზე და ხე ტყეზე. ქვანახშირზე და სპილენძზე.

მომარაგების მთავარი სამმართველოს საერთო საქმეთა გამგე შრეიდერი ამ ჟამად იმუშავებს მატყლის მონოპოლიის პროექტს, რომლის ცხოვრებაში გასატარებლად პროექტის ავტორის აზრით მოხმარებული იქნება კერძო კაპიტალი და საწარმოო აპარატი· ამ პროექტის განხორციელება შესაძლოს გახდის საქართველოში იაფ ფასებში დიდ ძალ საქონლის შემოზიდვას

მომარაგების მთავარ სამართველოს დაარსება.

რადგანაც ბოლო ხანს აშკარა გახდა არსებულ სასურსათო ორგანოების სისუსტე და მათი მუშაობა იმდენად ნაყოფიერი არ იყო საქართველოში სურსათის გარდა სხვა საგნების შემოზიდვაში, საჭირო გახდა ისეთი ორგანოს შექმნა, რომლის ხელშიც თავს მოიყრიდა საქართველოს სურსათით და სხვა საგნებით უზრუნველყოფა. 2 თვის წინად მთავრობამ შექმნა განსაკუთრებულ შემსყიდველი ბიურო, რომელშიაც შედიოდნენ: ფინანსთა და მიწათ-მოქმედების მინისტრები, სახალხო გვარდიის მომარაგების გამგე ალ. ქარცივაძე და მდივნად შრეიდერი. (მ. შრეიდერი შედარებით დიდი ხანი არ არის რაც საქართველოში ჩამოვიდა. რევოლიუციამდე ის ცნობილ იყო, როგორც ნაფიც, ვექილი. რუსეთის დროებითი მთავრობის დროს შავი ზღვის ფლოტის კომისრად იყო დანიშნული, მისი ძმა პეტროგრადის ქალაქის თავად იყო ამ დროს. შემდეგ მ. შრეიდერი არჩეულ იქნა ოდესის ქალაქის გამგეობის წევრათ და იქაურ სასურსათო კომიტეტის თავმჯდომარეთ) მაგრამ თავიდანვე აშკარა გახდა, რომ ეს შემსყიდველი ბიურო სათანადოთ ვერ გაუძღვებოდა რესპუბლიკის სურსათით და სხვა და სხვა პირველ საჭიროების საგნებით უზრუნველყოფას, რადგან მისი წევრი მინისტრები ისედაც დატვირთული იყვნენ საქმეებით. მალე შრეიდერმა მთავრობას წარუდგინა პროექტი განსაკუთრებულ სრულიად დამოუკიდებელ ორგანოს შექმნისა, რომელიც მარტო გაუძღვებოდა მომარაგების საქმეს. მთავრობამ ეს პროექტი მოიწონა და მალე დაარსდა მომარაგების მთავარი სამმართველო. ეს არის მთავარი ორგანო, რომლის საშუალებითაც მთავრობა ანხორციელებს ყველა თავის ღონის ძიებებს რესპუბლიკის უზრუნველსაყოფად სურსათით და პირველსაჭიროების სხვა საგნებით. ამ ორგანოში იყრის თავს მომარაგებასთან დაკავშირებული ყველა საკითხები და ბოლოს და ბოლოს ზედმეტად გახდის სხვა მაგვარ ორგანოების არსებობას. მომარაგების მთავარ სამართველოს სათავეში უდგას საბჭო, რომელშიაც შედიან ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის და მიწად მოქმედების მინისტრები, დამფუძნებელ კრების საბიუჯეტო საფინანსო კომისიის თავმჯდომარე დ. თოფურიძე, მთავარ გამგეთ ილ. ქარცივაძე და საერთო საქმეთა მმართველათ —შრეიდერი. საბჭომ განსაზღვრა ის საკითხები, რომელიც მის გამგებლობაში უნდა შედიოდეს: სურსათის მომარაგება ამ სიტყვის ფართე მნიშვნელობით (პურის დამზადება და სხ.) და ეგრედ წოდებულ, სავალიუტო საქონლის მოძრაობა. ყველა საკითხი, რომელსაც კავშირი აქვს სავალიუტო საქონლის შინაგან და საგარეო მოძრაობასთან მომარაგების მთავარ სამმართველოს გამგებლობაში შედის.

საქონლის შემოზიდვა საქართველოში.

საქართველოს მომარაგების მთავარ სამართველომ უცხოეთის კომერსანტებთან ხელშეკრულება დასდო მთელ რიგი საქონლის შემოზიდვაზე. ნაწილი ამ საქონლისა უკვე მიღებულია, როგორც მაგალითად ფართლეული, ძაფები სახურავის რკინა და ლურსმები. ეს საგნები გაცილებით იაფი ღირს, ვიდრე ბაზარზე. მომარაგების მთავარმა სამმართველომ შეისყიდა აგრეთვე შაქარი 3 ჯერ იაფად ვიდრე ბაზარზე ღირს. მოკლე ხანში მიღებულ იქნება აგრეთვე დიდ ძალი შაქარი, რომელიც ისე იაფად გაიყიდება, რომ სრულიად დასცემს ბაზარზე არსებულ სპეკულიატურ ფასებს.

პრინციპიალურათ უკვე გადაწყვეტილა საკითხი ხელშეკრულების დადების შესახებ ერთ დიდ ამერიკულ ტრესტთან, რომელმაც იკისრა უახლეს 1—2 თვეში ჩვენში შემოზიდოს ფეხსაცმელი, შეკერილი ტანისამოსი, ფართლეული, შაქარი, მანქანების ნაწილები და სამეურნეო იარაღები. თუ რამდენათ სახეიროა, ეს ხელშეკრულება მოწმობას თუნდაც ის, რომ ხსენებულ ტრესტის მიერ მოზიდული კარგი ღირსების ფეხსამოსის გაყიდვა შეიძლება 400 მანეთად წყვილი, ხოლო საუკეთესო ინგლისურ მასალისაგან შეკერილი მამაკაცის ტანისამოსი, კოსტიუმი 1200 მან. გაიყიდება და სხვა.

დამფუძნებელი კრება.

ივლისის 28 სხდომა.

თავმჯდომარეობს **ალექსანდრე ლომთათიძე.**

მდივნობს **ქრისტინე შარაშიძის ასული.**

კრება იწყება 12 საათზე.

საბოლოო ტექსტები.

ქ. ხოლოდაშვილისა მოახსენებს კრებას საბოლოო ტექსტს ქუთაისის და ტფილისის საადგილ-მამულო ბანკების წესდების შეცვლის დეკრეტისას.

საბოლოო ტექსტს ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის ახალი შტატების დამტკიცების დეკრეტისას.

საბოლოო ტექსტს დასახლების საქმის მოსაწყობად 5.000.000 მან. გადადების დეკრეტისას.

საბოლოო ტექსტს 150,000 მან. გადადებისა ინგლისის მისიის სასარგებლოდ ნატანებ-ბათომის რკინის გზის უბნის საექსპლოატაციოდ გადმოცემისათვის.

საბოლოო ტექსტს საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების სასარგებლოდ რესპუბლიკის რკინის გზის სამგზავრო ბილეთის დაბეგვის დეკრეტისას.

საბოლოო ტექსტს შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებაში 100,000 მან. კრედიტის გადადების დეკრეტისას, სოხუმის ოლქში გადამდებ სნეულებასთან საბრძოლველად.

საბოლოო ტექსტს 857,996 მან. გადადების დეკრეტისას 1919 წ. სოხუმ-ახალსენაკის და გუდაუთ-პოლენკოვის გზატკეცილთა ხიდების ასაგებად და შესაკეთებლად.

საბოლოო ტექტს შავი ქვის და საფუთო გადასახადების დეკრეტისას; და საბოლოო ტექსტს ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოსათვის ნახევარი მილიონი მან. სესხად მიცემის დეკრეტისას.

დეკრეტი ადგილობრივ თვითმართველობათა სასარგებლოთ დაწესებულ საფუთო გადასახადის შესახებ მოქმედ კანონდებულებათა შეცვლისა და შევსებისა.

ივ. ჭავჭანიძე მოახსენებს კრებას დეკრეტის შინაარსს. დეკრეტით შემოღებულია საფუთო გადასახადი ქალაქების თვითმართველობათა და ერობების სასარგებლოდ. შემოსავალი გადაირიცხება გზების გასაკეთებლად.

სოც. რევ. ფრაქციის სახელით ლაპარაკობს **ლ. შენგელაია.** ორატორი წინააღმდეგია შემოსულ დეკრეტისა.

დეკრეტი ტფილისის სასტატო სემინარიის გაუქმებისა და სახელმწიფო უნივერსიტეტთან პედაგოგიურ ინსტიტუტის დაარსებისა.

მომხსენებელი ნ. იმნაიშვილი მოახსენებს კრებას დეკრეტის შინაარს, რომლის თანახმად უქმდება დღემდე ტფილისში არსებული სასტატო სემინაარია და მის ნაცვლად სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსდება პედაგოგიური ინსტიტუტი. დეკრეტი კამათს არ იწვევს.

დეკრეტი სახელმწიფო ხაზინიდან 290,089 მ. და 28 კ. მიღებისა რკინის გზაზე პარტიზანტიან ტიფთან ბრძოლის დროს გაწეულ ხარჯების დასაფარად.

მომხსენებელია ირემაშვილი. დეკრეტი კამათს არ იწვევს. იგი მიღებულია უცვლელად.

დეკრეტი გაზ. „საქართველოს რესპუბლიკის“ საჭიროებისათვის 67,560 მან. გადადებისა.

მომხსენებელია სიმონ მდივანი. დეკრეტი კამათს არ იწვევს, იგი მიღებულია უცვლელად.

დეკრეტი ტფილისის სატეხნიკო სასწავლებლის საშუალო საპოლიტეხნიკო სასწავლებლად გადაკეთებისა.

ქ ნი **ხოლოდაშვილისა** მოახსენებს კრებას დეკრეტის შინაარსს. სატეხნიკო სასწავლებელი გადაკეთებულია საშუალო საპოლიტეხნიკუმო სასწავლებლათ.

დეკრეტი დამფუძნებელ კრების კანცელარიასთან სტამბის დაარსებისა.

მომხსენებელია **ირემაშვილი:** სოც. დემ. ფრაქციის წინადადებით პრეზიდიუმის დეკრეტის მაგიერ მიღებულია სოც. დემ. ფრ-ქციის მიერ წარმოდგენილი დეკრეტი, რომლის თანახმად ახლად დაარსებულ სტამბას თვე და თვე მიეცა საჭირო თანხა.

დეკრეტი 1917 წ. აგვისტოს დადგენილების მოქმედების განაგრძობისა ბინაზე და სხვა სადგომებზე უმაღლესს ფასების განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელია **ჩაჩავა.** წარმოდგენილ დეკრეტით არსებული კანონი 5 აგვისტოსი დროებით ძალაში რჩება.

ეროვნულ-დემოკრატიულ ფრაქციის წინადადება ლეჩხუმის მაზრაში დამფუძნებელ კრების კომისიის გაგზავნის შესახებ.

წინადადება იწვევს კამათს.

მონაწილეობას იღებენ კედია, შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი ჭიჭინაძე და რუბენ ყიფიანი, წინადადება ხმის უმეტესობით უარყოფილია.

კრება იხურება 2 ს. 45 წუთზე.

სატარიფო პალატაში.

24 ივლისის სატარიფო პალატის მორიგი სხდომა სავსებით მოუნდა სხვა და სხვა პროფესიონალურ კავშირების ხელფასის განხილვა-დამტკიცებას.

პირველათ განხილულ იქნა ფარმაცევტების ტარიფი. პრეზიდიუმი წინადადებას იძლევა მოემეტოს აფთიაქის მოსამსახურეებს ჯამაგირი 10—25%. თავის წინადადებას პრეზიდიუმი ასაბუთებს იმ მოსაზრებით, რომ თუ აფთიაქის მოსამსახურეებს გაუდიდეთ ჯამაგირი 35%, მაშინ მათი ჯამაგირები ძალიან დაშორდება სხვა დარგის წარმოების მოსამსახურეთა ჯამაგირებს და მეორეთ, აფთიაქის მოსამსახურეთათვის ჯამაგირის მომატება იწვევს თანაბრათ გაძვირებას წამლებისას, რაც მძიმე ტვირთათ დააწვება ავადმყოფებს. თვით პროვიზორთა აფთიაქის გამგეთა ჯამაგირების განხილვის დროს წამოდგა პრინციპიალური საკითხი, შედის თუ არა სატარიფო პალატის კომპეტენციაში განხილვა იმ პირთა ჯამაგი-

რების, რომელ პირთაც უჭირავთ ადმინისტრატიული თანამდებობა. ეს საკითხი გადაეცა განსახილველათ პრეზიდიუმს. ხოლო პროვიზორებს, რომელნიც არ განაგებენ აფთიაქს, დაენიშნა 35 % მომატება. დანარჩენში ტარიფი დამტკიცებულ იქნა იმ სახით, რა სახითაც იყო ის წარმოდგენილი პრეზიდიუმის მიერ.

ლითონზე მომუშავეთა ტარიფის საკითხზე პრეზიდიუმი აცნობს სხდომას დამქირავებელთა აზრს. ისინი თანახმა არიან გაუდიდონ მუშებს ხელფასი 35%-ით, მხოლოდ იმ პირობით, თუ წარმოებაში იქნება გატარებული ნაჭრობით მუშაობა, წინაალმდეგ შემთხვევაში ისინი თანახმა არიან მხოლოდ 25 პროცენტით ხელფასის გადიდებაზე.

მიღებულ იქნა შემდეგი დადგენილება: მუშების და მოსამსახურეთათვის დადგენილ იქნა მომატება—35 პროც., ამასთანავე არჩეულ იქნას პარიტეტულ ნიადაგზე კომისია 4 კაცისაგან, რომელიც ყოველ-მხრივ გაეცნობა ლითონის წარმოების მდგომარეობას და მისგან დამოკიდებულ ხელფასის რაოდენობას და პრინციპს ხელფასის მიცემისა (ნაჭრობით თუ სხვანაირათ).

საკითხი, თუ რა დროიდან უნდა მიეცეს მათ მომატებული ხელფასი, გადაეცა გადასაწყვეტად პრეზიდიუმს.

ბეჭდვითი საქმის მუშათა ტარიფის საკითხის ყოველ მხრივ გაშუქების შემდეგ მიღებულ იქნა ჯამაგირების გადიდება 35 პროც. გარდა შავი მუშებისა, დარაჯთა და კანტორაში მოსამსახურეთა, რომელთა ხელფასი უდრის 1200—1400 მან.

შემოსული წინადადების თანახმად არჩეულ იქნა კომისია, რომელსაც დაევალა გამოარკვიოს საკითხი გაზეთების გაძვირების და ის, თუ რამდენათ ეს გაძვირება ეთანხმება გასავალს და აქედან რამდენი პროც. გაძვირებისა შედის ხელფასში: შემდეგ დამტკიცდა ტარიფი მრეცხავთა, მღებავთა, მზარეულთა კავშირებისა.

ქალაქის გამგეობის შეკითხვაზე, თუ რა აზრის არის სატარიფო პალატა ქალაქის მოსამსახურეთა ჯამაგირებზე მომატების შესახებ, პალატამ გამოიტანა დადგენილება, რომლის ძალით ქალაქის მოსამსახურეებს ემატება ჯამაგირები საერთო საფუძველით ე. ი. 35 პროც.

სვანეთის მდგომარეობა

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრს მოხსენება ზემო სვანეთის საჭიროებათა შესახებ.

ზემო სვანეთი ჩვენი ქვეყნის ერთ საუკეთესო კუთხეს წარმოადგენს თავისი სიმშვენიერით და ბუნების სიმდიდრით. ეს კუთხე ჩვენგან მოწყვეტილია, ამიტომ იყო, რომ სვანები განზე იყვნენ გამდგარნი და რიგიანი წარმოდგენაც არ ჰქონდათ ჩვენს რესპუბლიკაზე და მის კანონებზე.

ჩვენის ჩამოვლით ზემო სვანეთში შეიქმნა რამდენიმეთ ისეთი მდგომარეობა, რომ თუ საჭირო ზომები იქნება მიღებული თავის დროზე, იქ ადვილათ დამყარდება წესიერება, კანონ-სამართალი, ცხოვრება ჩადგება ნორმალურ კალაპოტში და მაშინ სვანები შესაფერ ადგილს დაიჭერენ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა შორის.

აი ეს ზომებიც:

1) **მოეწყოს ფოსტა-ტელეგრაფ ტელეფონი** რაც შეიძლება დაჩქარებით. სვანეთს აქვს ორი გზა: ლეჩხუმიდან და სამეგრელოდან. რომელი გზითაც უფრო ადვილათ არის მოსახერხებელი, პირველათ იმ გზით იქნას გაყვანილი ტელეგრაფ-ტელეფონი. ჩვენის აზრით კი, სამეგრელოს გზით უფრო ადვილია. შენობა ამისთვის ბეჩოში (სვანეთის ცენტრი) უკვე არის. ეს საქმე ერობამ უნდა მოაწყოს, საჭიროა მთავრობის დახმარება.

იარაღის აყრა. ზემო სვანეთში კანონის და წესიერების დამყარებას ხელს უშლის ის გარემოება, რომ ადმინისტრაცია სუსტია და ამის ერთი მიზეზი ის არის, რომ იქ ყველა შეიარაღებულია და სამართალი თოფზე ჰკიდია. მართალია რამდენიმეთ, რომ სვანები იარაღდებოდენ გარეშე მტრების შიშით, მაგრამ ისიც მართალია, რომ ერთმანეთის წახედულობითაც იძენდენ იარაღს. ამასთან ცნობილია, რომ სვანები ძველთაგან იარაღის მოყვარულები იყვნენ. იარაღი არა თუ ცუდს, ხშირად კეთილ ადამიანსაც ჩაადენინებს ცუდ საქმეს. და აი სვანეთშიაც იარაღის გამრავლების შემდეგ ხდება მასიური ძარცვა გლეჯა და საქონლის გატაცება. ჯერ სოფელი სოფელს სტაცებდა საქონელს და შემდეგ, გასულ წელს, ასეთი გატაცება საქონლისა მოხდა სვანების მიერ რაჭა-ლეჩხუმ-სამეგრელოდან, რამაც დაბადა მეზობლებს შორის საშინელი მტრობა და შურისძიება, და ხდებოდა მკვლელობა და ძარცვა. იმარჯვებდა ის, ვისაც იარაღი ჰქონდა. სვანები ხედავდენ, რომ ამით თითონაც ზარალდებოდენ და ამიტომ უნდოდათ შერიგება მომხდარიყო მეზობლებს შორის. დღეს ხალხი თანახმაა იარაღი აიყაროს, რადგან რწმუნდება მის მავნებლობაში. ჩვენს წინადადებას ყველგან ლებულობდენ, რადგან სვანებს იარაღი მუქთად არ შეუძენიათ, კარგი იქნებოდა მისცემოდათ ცოტა სასყიდელი მაინც.

იარაღის აყრა შეიძლება ასე მოეწყოს.

1) არსდება ზემო სვანეთში ერთი ცენტრალური კომისია მაზრის ერობის ხელმძღვანელობით. ეს კომისია სოფლის კომისრის დახმარებით ადგენს სიას, ართმევს იარაღს პატრონებით და აძლევს სათანადო ბარათს იარაღის პატრონს;

2) იარაღები ინახება ერთ საწყობში, სახელდობრ ბეჩოში და საჭიროების დროს დაურიგდებათ საიმედო პირებს;

3) იარაღის ტარების ნებართვა უნდა მიეცეს: ეკლესიის დარაჯებს, მწყემსებს, მონადირეებს, სოფლის კომისრებს, მათ თანაშემწეთ და მილიციელებს. ამის შემდეგ ვისაც აღმოაჩნდება იარაღი, მას ჩამოერთმევა უსასყიდლოთ, და თუ რაიმე დანაშაული ახლავს თან, სასტიკად დაისჯება.

ადმინისტრაცია: ადმინისტრაცია გაძლიერდება მხოლოდ მას შემდეგ, როცა იარაღი ჩამოერთმევა ხალხს. სასურველათ მიგვაჩნია ადმინისტრაცია ასე მოეწყოს:

1) ზემო სვანეთში უნდა იყოს ერთი რაიონის კომისარი ორი თანაშემწით, ერთი იქნება სამეურნეო ნაწილის გამგე, მეორე ადმინისტრაციულის (ერთი მწერალ საქმის-მწარმოებელიც). საჭიროა მეორე პოსტის დაარსება მულახში ან მესტიაში;

2) თუ არსებულ 11 საზოგადოებას გავხდით 13-ათ (რის შუამდგომლობა მათ აღძრეს), მაშინ დაგვჭირდება 39 მილიციელი— ორ-ორი ცხენოსანი და თითო ქვეითი თითეულ საზოგადოებაში, 6 ცხენოსანი და ერთიც უფროსი მილიციელი მულახ-მესტიის პოსტზე. 14 მილიციელი ბეჩოს პოსტზე, ამათში 10 ცხენოსანი, ერთიც უფროსი ცხენოსანი და 4 ქვეითი. სულ მივიღებთ სამოც მილიციელს, რაც გაანახევრებს არსებულ რიცხვს (ას ათი კაცია). ჯამაგირითაც ადვილათ შეიძლება მათი დაკმაყოფილება და მაშინ სამსახურსაც უფრო პირნათლად შეასრულებენ;

3) ზემო სვანები თვითონვე თხოულობენ, რომ უმთავრესი მოხელენი იყვნენ გარეშენი, არა სვანები. საჭიროა მათი სურვილი დაკმაყოფილებულ იქნეს ამ მხრით.

4) დღეს სოფლის კანცელარიები გამოხურულია, ბევრგან დანგრეულია. უნდა იქნეს აღდგენილ-შეკეთებული, რომ იქ სწარმოებდეს საქმეები. საზოგადოების კომისრებს ხალხი უნდა ირჩევდეს ისეთი პირებისაგან, რომელთაც არავითარი დანაშაული არ ჩაუდენიათ არაოდეს. მათ უნდა ჰყავდეთ მწერლები და სამ-სამი მილიციელი. მათვე უნდა ყავდეთ ყველა მოზრდილ სოფლებში თანაშემწენი. ყველა დანარჩენი რაზმები, რომელთაც სოფლათ არავითარი სარგებლობა არ მოაქვთ, უნდა გაუქმებულ იქნენ:

5) ქუბერი და, ცხომარი გადაკეთდეს საზოგადოებათ.

ექიმობა: ერთი საავადმყოფო აფთიაქი ახლაც არის სოფელ მესტიაში (ექიმი ლოგინათ არის ჩავარდნილი). ჩვენის აზრით, საჭირო იქნება ერთი ექიმი საავათმყოფოსთან და მეორე მოსიარულე. გარდა ამისა ორი საექიმო პუნქტი მოსიარულეთათვის ფერშლებით. ამგვარად, სულ იქნება ორი ექიმი, 3 ფერშალი და ერთი ბებია ქალი. საჭიროა ერთი საქონლის ექიმი. დღევანდელი ფერშლების დიდი უკმაყოფილოა ხალხი. ისინი მართლაც არ უნდა იყვნენ კეთილსინდისიერნი და არც საქმის მცოდნენი.

ანარქიის ხალიკვიდაციო კომისია: გასულ წელს, როდესაც ჩვენი ქვეყნის ზოგიერთ კუთხეებში ბოლშევიკურმა მოძრაობამ იჩინა თავი, ზემო სვანეთის ზოგიერთი სოფლები აჰყვნენ თავზე ხელაღებულ პირებს და გაიტაცეს რაჭა-ლეჩხუმ-სამეგრელოდან მრავალი საქონელი. საერთო რიცხვი წვრილი და მსხვილ საქონლისა, როგორც გადმოგვცეს, ათი ათასამდე იქნება. ამ ერთი წლის განმავლობაში, მეტადრე ზამთარში, გატაცებულ საქონლის დიდი ნაწილი დახოცილა საკვების უქონლობისა და ჭირისაგან, ერთი ნაწილი დაუკლავთ და დღეს დაზარალებული მეჯოგეები მესამედსაც ვერ მიიღებენ იმისას, რაც მათ დაჰკარგეს. ყველა იმ სოფლებში, სადაც კი ჰყავდათ საქონელი, აირჩიეს კომისია, რომელიც აგროვებს ცოცხალს ცოცხალათ და დახოცილ-დაკლულის საფასურს. ასეთ კომისიებს დიდი მუშაობა ქონდათ ნაკისრი და საჭირო იქნება მათი რამდენიმედ დაჯილდოვება. დაზარალებულ მეჯოგეებს გადაჰხდათ სამეგრელოში მოკლულ სვანის ჭირისუფალის სასარგებლოთ 14 ათასი მანეთი, რაც სამართლით მათ არ ეკუთვნით. ეს მკვლელობა მოხდა ჯვარის საზოგადოებაში და თუ ჯვარის საზოგადოებამ ან მკვლელმა არ გადაიხადა, საჭირო იქნება სხვა საშუალების გამონახვა.

დახმარება ზემო სვანეთის სამღვდელოებას. ზემო სვანეთის ეკლესიები დიდ ისტორიულ სიმდიდრეს წარმოადგენენ თავისი განძეულობით-ოქრო-ვერცხლით მობეჭდილ ხატებით, ჯვრებით, თასებით და სხვა ნივთებით. და თუ ეს დღემდი შენახულა, უნდა მიეწეროს სვანეთის ხალხს, რომელიც ქრისტიანულ სარწმუნოებას მაგრათ ადგია და ზოგიერთ კეთილსინდისიერ მღვდლებს. ხალხი შუამდგომლობდა სამღვდელოებისთვის ჯამაგირს. იქაური მღვდლები მართლაც გაჭირვებას განიცდიან და ვფიქრობთ კარგი იქნებოდა ერთდროული დახმარება რომ მაინც აღმოეჩინა მათთვის მთავრობას.

საქართველოს რესპუბლიკის განათლების მინისტრს მოხსენება ზემო სვანეთის სკოლებისა და სწავლა განათლების შესახებ.

ზემო სვანეთი, მოგეხსენებათ, შეადგენს ლეჩხუმის მაზრის ერთ უშორეს რაიონს. თვით ლეჩხუმიც ვერ არის კარგათ გადამბული ჩვენს კულტურულ ცენტრ ქუთაისიდან რიგიან გზის უქონლობის გამო და რაღა იქნება ზემო სვანეთი, რომელსაც გზა არ უვარგა, ზამთარში ხომ სრულებით იკეტება და სწყდება, როგორც ლეჩხუმს, ისე ქუთაისს და ტფილისს.

აი რა მდგომარეობაშია ზემო სვანეთში სწავლა-განათლების საქმე.

სულ ზემო სვანეთში არის 22 სკოლა დაახლოებით 30-მდე მასწავლებელით, უმთავრესათ ზემო სვანები. ყველა სასწავლებლების დათვალიერების შემდეგ აღმოჩნდა, რომ დიდი უმრავლესობა შენობებისა დანგრეულია და ავეჯეულობა გატაცებული. მიზეზათ ასახელებენ საერთო არეულობას, რომლის გამო თვალყურის დევნება ძნელი იყოო. არ იყო სწავლა აგერ სამი წელიწადია, რადგან მშობლები შვილებს არ უშვებდენ სხვათა შორის იმ მიზეზითაც, რომ შესაფერი ტანისამოსი არ ჰქონდათ ზამთრისათვის და ავადმყოფობათა გამო, რომელიც საშინლად იყო გავრცელებული ზემო სვანეთის სოფლებში. ამას თუ დაუმატებთ იმასაც, რომ ზოგიერთი მასწავლებელი არ იდგა თავის სიმაღლეზე, ადვილი წარმოსადგენია რა დონეზე იდგებოდა სწავლა-განათლება. ზემო სვანეთში ახალი გაზრდობა სრულიად უსწავლელად არის დარჩენილი. ანბანის მცოდნეს ნაკლებათ შეხვდებით იქ.

საჭიროა ისედაც ჩამორჩენილ ზემო სვანეთში განახლდეს სწავლა ყველგან, საცა სასწავლებელი იყო, ამისთვის საჭირო იქნება:

1) დაჩქარებით შეკეთდეს იმ სკოლების შენობები, რომლებიც დანგრეულია და შევსებულ იქნას ყველა სკოლები ავეჯეულობით;

2) გაიგზავნოს სასწავლო წიგნები და საგნები მოწაფეთათვის, აგრეთვე გაიგზავნოს მათ იაფ ფასებში საცვლები და ფეხსაცმელ-ტანსაცმელები, რამდენათაც მოსახერხებელია;

3) გამოცხადდეს სავალდებულო სწავლება (როგორც ძველად ყოფილა);

4) გაიგზავნო რამოდენიმე გამოცდილი მასწავლებელი.

5) გაიხსნას ერთი კლასიანი სკოლა სოფ. საიმში (სოფელი თითონ კისრულობს შენობის დაქირავებას და მომავალში კი შენობის აგებას);

6) მოეწყოს კურსები (ერთი თვის მაინც) ზემო სვანეთის მასწავლებელთათვის, სადაც გაეცნობიან სწავლების ახალ მეთოდებს, ქართულ ლიტერატურას და ენას. (კურსების მოწყობა ითხოვა მასწავლებელთა ყრილობამ, რომელიც მოწვეული იყო ჩვენი იქ ყოფნის დროს). თუ კურსების მოწყობა არ მოხერხდება ცაგერში ლეჩხუმის ერობის მიერ, იმ შემთხვევაში ზუგდიდის ერობა კისრულობს მისგან მოწყობილ კურსებზე დაუშვას სვანეთის მასწავლებლები ნაწილი თავის ხარჯზე, თუ დანარჩენს იკისრებს მთავრობა ან ლეჩხუმის ერობა;

7) გაიხსნას ზემო სვანეთში ბიბლიოთეკა-სამკითხველო მასწავლებელთათვის უმთავრესათ პედაგოგიური შინაარსის ლიტერატურით;

8) სვანეთის ნიჭიერი მოწაფეთათვის დაარსდეს სტიპენდია, როგორც შიგ, სახელწიფოში, ისე საზღვარგარეთა;

9) მასწავლებელთა შევსება მოხდეს არა სვანებით და აგრეთვე დაინიშნოს ზემო სვანეთისათვის ცალკე მეთვალყურე, რომელიც იმავე დროს ხელს შეუწყობს მასწავლებელთა დახელოვნების საქმეს.

აი ყველაფერი ის, რაც ესაჭიროება ზემო სვანეთს, რომ იქ სწავლების საქმე ფეხზე წამოდგეს და რასაც იმედია, განათლების სამინისტრო ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს. ჩვენ ვიცით, რომ ყველაფერი ეს ლეჩხუმის ერობას ეკისრება, მაგრამ თუ განათლების სამინისტრო თავის მხრითაც განსაკუთრებულ დახმარებას არ გაუწევს ლეჩხუმის ერობას, ისე მას გაუძნელდება ამ საქმის დაჩქარებით მოგვარება.

საქართველოს რესპუბლიკის გზათა მინისტრს მოხსენება ზემო სვანეთის გზების მდგომარეობის შესახებ.

ყველაფრით მდიდარი ზემო სვანეთი უგზოობის გამო მოწყვეტილია ჩვენს რესპუბლიკას. იგი ორ მთას შუა არის გამომწყვდეული. უდიდეს გაჭირვებას განიცდიან ზემოსვანები უგზოობის გამო და თუ დროზე არ იქნება ზომები მიღებული გზების შესაკეთებლათ, ეს კუთხე შეიძლება კიდევ უფრო დაგვშორდეს და იმის მაგიერ, რომ ჩვენსკენ მოისწრაფოდეს, შეიძლება უფრო ჩრდილოეთისკენ დაიწყოს ყურება. ახლაც მათ დიდი მიმოსვლა აქვთ ჩერქეზეთ-ოსეთისკენ. თუ რამე აბადიათ იქ მიაქვთ გასაყიდათ და სამაგიეროსაც იქვე ყიდულობენ. ეს კი ჩვენი ქვეყნისათვის ცხადია საზარალოა.

ნაწილი ზემო სვანეთისა, „თავისუფალ სვანეთად“ წოდებული, ეკრავს რაჭა-ლეჩხუმს და მას მჭიდრო კავშირი აქვს ცაგერ-ჩოლურთან. მეორე ნაწილი (სადადეშქელიანო) აკრავს სამეგრელოს და დაკავშირებულია ჯვარ-ზუგდიდთან. ეს ორივე ნაწილი ლეჩხუმის მაზრაში შედის და არც ერთში არ არის სურვილი მოსწყდეს ლეჩხუმს, მაგრამ ორივესთვის აუცილებელია, რომ დაკავშირებულნი იყვნენ გზებით, როგორც ლეჩხუმთან, ისე სამეგრელოსთან. ზემო სვანეთს ორი მისავალი აქვს-ერთი ქუთაისიდან რაჭა-ლესხუმის გზით ცაგერზე და მეორე სამეგრელოთი-ზუგდიდ ჯვარიდან ლენხერის გზით. ლეჩხუმიდან არის ერთი გადასავლელი მუშურის მთა, რომლითაც შეიძლება სარგებლობა მხოლოდ განსაზღვრულ დროს და სადაც მოგზაურობა მეტად სახიფათოა და ხშირად საქმე უმსხვერპლოთ არ თავდება (თოვლის ზვავი, კლდეზე გადაჩეხვა და სხ.). მეორე გზა ლეჩხუმიდან არის ლატფარით, რომელიც მხოლოდ მკათათვეში იხსნება და ორი თვით შეიძლება სარგებლობა. საჭიროა ამ გზის შეკეთებაც ახლავე დაიწყოს, რომ მიმოსვლა არ იყოს გაძნელებული და გზა გადავიდეს ზემო სვანეთის პირველ სოფელ უშკულში, საიდანაც სასოფლო გზებით შეუერთდება სხვა სოფლებსაც. ცაგერი-

დანვე შეიძლება ტელეგრაფ-ტელეფონის გაყვანა, მხოლოდ საჭირო იქნება მთავრობის დახმარება, რომ გზის შეკეთება დაიწყოს ახალქალიდან, რადგან აქაც, პატარა მანძილზე, მეტად ცუდი გზა არის, წინააღმდეგ შემთხვევაში ცაგერიც მოწყვეტილი იქნება ქუთაისს.

ამავე დროს აუცილებლათ საჭიროა დაიწყოს ლენხერის გზის შეკეთებაც. ამ გზას ის უპირატესობა აქვს, რომ თუ შეკეთდა, შეიძლება ზამთარ-ზაფხულს მიმოსვლა. მისი კეთება დაწყებულა 1913 წელს და შეწყვეტილა 1917 წელს. მართლაც დიდი მუშაობა ყოფილა ზედ. ამ გზას ს. ჯვარში აქვს მშვენიერი ქვის შენობა, სადაც მოთავსებულია კანტორა და საწყობი. საკმაოთ კარგადაც არის გაკეთებული გზა და რომ ამ სამი წლის განმავლობაში უპატრონოთ არ ყოფილიყო მიტოვებული, დიდი მუშაობა არ დასჭირდებოდა. მხოლოდ რამდენიმე ალაგს არის კლდე გასანგრევ-გასაფართოებელი, დანარჩენ ალაგს არ იქნება გასაჭირი მისი შეკეთება. გზა არის ერთ საჟენიანი. მისი შეკეთება ახლავე უნდა დაიწყოს, თორემ თუ ამ ზამთარში დარჩა, მომავალ წელს უფრო მეტი მუშაობა დასჭირდება და ხარჯებსაც მეტს მოითხოვს. ზემო სვანეთშიც ამ გზითაც შეიძლება ტელეგრაფ-ტელეფონის გაყვანა და ფოსტის მოწყობა. ზუგდიდიდან ჯვარამდი 30 ვერსია და კარგი საავტომობილო გზაც არის, სოფ. ჯვარიდან ზემო სვანეთის ცენტრამდი (ბეჩო) 100 ვერსია და ეს გზა, როგორც მოგახსენეთ, თხოულობს დაუყონებლივ მუშაობის დაწყებას. ქუთაისში არის ამ გზის ხელმძღვანელი ინჟინერი ზაჭრიკინი. ამ გზას ჰყავს ერთი ზედამხედველი და ექვსი მცველი, რომლებიც ჯამაგირს იღებენ თურმე და არაფერს არ აკეთებენ.

ლატფარის გზაზე იმუშავებენ „თავისუფალი სვანეთის“ მცხოვრებნი, ლენხერისაზე კი სადადეშქელიანოსი. თუ ეს გზები შევიდა ორივე მხრივ ზემო სვანეთში, შიგნითი გზები სულ ადვილი გასაკეთებელი იქნება, და მაშინ საშუალება მოგვეცემა დავუახლოვდეთ და დავიახლოვოთ სვანები და ვისარგებლოთ ყველა იმ სიმდიდრით, რომელიც მოიპოვება ზემო სვანეთში.

მეტად სასურველია, რომ განსაკუთრებული ყურადღებით მოვექცეთ ამ საკითხს და დავაჩქაროთ მისი გადაწყვეტა.

დამფ. კრ. საგარეო კომისიის ცნობა.

დამფუძნებელ კრების საგარეო კომისიის თავმჯდომარე იცნობება, რომ საგარეო კომისიას არავითარი გადაწყვეტილება ლორის დათმობის შესახებ არ მიუღია და ადგილობრივ ქართულ-რუსულ პრესაში იმ საკითხის გარშემო ატეხილი ხმაურობა ყოველივე საფუძველს მოკლებულია.

აფხაზეთში.

აფხაზეთის კომისარიატის მიერ გამოცემულ კანონის თანახმად 1) კომისარიატთან უნდა დაარსდეს იურიდიული კომისია, ერთი უფროსისა, მდივნისა და საქმის მწარმოებლის შემადგენლობით 2) აფხაზეთში შემოღებულ უნდა იქნეს არჩეულ მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტი, 3) უნდა გაუქმდეს სოხუმის მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობა, რომლის ფუნქციებიც დროებით სოხუმის საოლქო სასამართლოს დაევალა, 4) ხსენებულ საქმის მოსაწყობად იუსტიციის კომისარს ამ წლის ბოლომდე უნდა მიეცეს 29,400 მან.

საქართველოს ტყე

საქართველოს რესპუბლიკის დღევანდელ ფარგლებში ტყის სივრცე შეიცავს 2.000.000 დესიატინას. მთელი ამიერ-კავკასიის ტყის სივრცე—3.836.890 დეს., ასე რომ საქართველოს რესპუბლიკა მეტის მეტათ მდიდარია ტყით. მისი ტყე მთელ ამიერ-კავკასიის ტყეზე ორჯერ მეტია. ტყიანობა—საქართველოში საშუალოთ წარმოადგენს 40°/₀-ს. თვითეულ მცხოვრებზე მოდის ერთიდან ხუთ დესატინამდე. ამგვარათ საქართველოს სიმდიდრისთვის ტყეს შეუძლია დიდ და მთავარ წყაროთ გახდეს, ამიტომაც ტყის საქმეს და მის სწორათ დაყენებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. უკანასკნელ ხანამდე, თითქმის სრული უგზოობის გამო საქართველოს ტყის ექსპლოატაცია მეტათ სუსტათ სწარმოებდა. სახაზინო ტყიდან რაც შესაძლებელი იყო, იმის ნახევარი თუ გაჰქონდათ, ამასთანავე ექსპლოატაცია არა თანასწორათ სწარმოებდა. იმ ადგილებში, სადაც მრავალი მოსახლეობდა და ხეირიან გზებთან ახლოს იყო (მდ. მტკვრის ხეობა) იქ ტყე მეტათ გაჩეხილია, დანარჩენ ადგილებში კი, რაც ნახევარზე მეტს შეადგენს (ქუთაისის გ. და სოხუმის ოლ.) ტყე ხელუხლებელია და სასწრაფო ექსპლოატაციას საჭიროებს.

ამისდამიხედვით აღინიშნება ორი სატყეოსამრეწველო რაიონი საქართველოში: მდინარე მტკვრის ხეობა და დასავლეთი საქართველო.

მდ. მტკვრის ხეობაში ტყეს ამუშავებენ შინ მოსახმარათ, უმთავრესათ, რკინის გზებისთვის. აწიც შინაურ აშენებლობისათვის უფრო მეტი და დიდძალი ტყის მასალა დაგვჭირდება, იმდენი მასალა, რომ ეს რაიონი ვერც კი შესძლებს დააკმაყოფილოს ეს მოთხოვნილება. ამიტომ საქართველოს მთავრობამ ყურადღება უნდა მიაქციოს საკუთარ მრეწველობის განვითარებას ტყის დარგში და გააღვიოს მრეწველობა იქ, სადაც იგი ჯერ სუსტია. ეს ისეთი რაიონებია, სადაც გზები არაა, მაგ. სოხუმის ოლქის და სვანეთის ტყე. ამიტომაც აქ პირველათ ყოვლისა უნდა ვიზრუნოთ გზების გაკეთებაზე, რათა შესაძლებელი გახდეს ტყის მასალის გამოზიდვა. გეოგრაფიული პირობების გამო აღნიშნულმა რაიონმა უნდა იმუშაოს უმთავრესათ გასაზიდათ ისეთ ქვეყნებში, სადაც ტყე არაა; სახელდობრ ხმელთა-შუა ზღვის ნაპირა ქვეყნებისათვის და ის ადგილები კი, რომელიც ეკვრის მრავლათ დასახლებულ რაიონებს და რკინის გზებს, იმუშავებს შინისათვის. ამ რაიონში ტყის მრეწველობის განვითარება დამაკმაყოფილებელია არსებულ ბუნებრივ გზებისაგან, როგორიცაა, მდინარე ენგური, კოდორი, ბზიბა, რიონი და მათი შესართავები. დღეს ეს მდინარენი ტყის გამოსაზიდათ მოისუსტებენ, დაგვჭირდება თანხა რომ გავაკეთოდ და შევუფარდოთ ტყის გამოყენების საქმეს. მაგრამ ამ თანხას ჩვენ ვერ დავიშურებთ, რადგან მდინარეთ ტყის გამოზიდვა მეტათ იაფი ჯდება. გასავალი ამ მდინარეების შეკეთებაზე მალე იქნება განაღდებული.

სხვა და სხვა ხეების ჯიშიდან, რომელიც ამ რაიონშია, უმთავრესია: სოჭი, ნაძვი, ფიჭვი და წიფელა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სოჭის და წიფლას ტყეს, რომელიც აქ მეტათ ვრცელია. სოჭის შესახებ უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ჯიშს ბაზარზე ცუდი სახელი აქვს, მას ბევრ ნაკლულოვანებას აწერენ, ასაშენებელ მასალათ არ სთვლიან, და ამიტომაც მისი ფასიც ნაკლებია. ასეთი ცუდი შეხედულება სოჭის შესახებ მით აიხსნება, რომ დასამუშავებლათ სოჭი გამოაქვთ მაშინ, როდესაც იგი უკვე დაბერებული, როდესაც მისი გულის ტეხნიკური თვისებანი ცუდდებიან. სოჭი რომ ახალგაზდობის დროს დაამუშაო და ამავე დროს ზოგი წინასწარი დაცვითი ზომები მიიღო, მაშინ სოჭი ნაძვს გაუთანასწორდება. რადგან საქართველოში სოჭი მრავლათ მოიპოვება, ამიტომ სოჭით სარგებლობა დიდი საკითხია. რადგან წლიდან წლამდე აღნიშნულ რაიონში მრავალი სოჭი დაგროვდა და ისიც გადაბერებული, იგი სანამ სავსებით გაფუჭდებოდეს, მოხმარებულ უნდა იქნეს. ვინაიდან ბებერი სოჭი ასაშენებელ მასალათ არ გამოდგება, ამიტომ უნდა ვიზრუნოთ, რომ სხვა საქმისათვის გამოვიყენოთ. ერთ მეტათ დიდ საქმეში გამოგვადგება იგი: ქაღალდის კეთებაში. ქაღალდის კეთების საქმეში სოჭი საუკეთესო მასალაა და ძვირათ ფასდება. ამას გარდა გამოსადეგია ყუთების საკეთებლათ, რომელიც ასე ძლიერ სჭირდებათ ხმელთა-შუა ზღვის ნაპირა სახელმწიფოებს, რომელთაც ყუთებისათვის მასალა შავი ზღვის ნაპირებიდან გაჰქონდათ. ამ სახელმწიფოთა შორის, რომელთაც საქართველოს შეუძლია მიაწოდოს თავისი ტყე—არის იტალია, სადაც დიდი მოთხოვნილებაა ხისა, ყუთებისა და ფანერებისათვის. ამას გარდა ამ ხეს საჭიროებს საბერძნეთი და ოსმალეთი. ომამდი ამ ქვეყნებს ეს მასალა შეჰქონდათ გერმანიიდან, ავსტრო-ჰუნგრეთიდან და ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებიდან. რუსეთს ცოტა გაჰქონდა და მხოლოდ ომის წინ გაცხოველდა ამ მასალის გაზიდვა და რასაკვირველია, ომის დროს სრულიად შეწყდა.

ომის შემდეგ, ცხადია, ტყით ვაჭრობა საზღვარ გარეთთან დიდი იქნება. უცხოელები მეტის მეტათ არიან დაინტერესებულნი ჩვენი ტყით, ამიტომაც ტყის საკითხი ჩვენში უნდა სავსებით მოგვარდეს, ტყის ექსპლოატაცია რაციონალურათ უნდა მოეწყოს და ტყის საქმის მცოდნეთა რიცხვი, სპეციალისტები უნდა გავამრავლოთ.

გ. პახარია.

მილიციაში

ამა წლის ივლისის 27, მეშვიდე ქალთა გიმნაზიის დირექტორმა განუცხადა სისხლის სამართლის მილიციის უფროსს, რომ მისი დაბრუნების შემდეგ მან აღმოაჩინა კინემატოგრაფიული აპარატის დაკარგვა, რომელიც 18 ათასი მანეთი ღირს და სთხოვა მას მიეღო ზომები დაკარგულის აღმოსაჩენად. იმავე დღეს მილიციის მსახურებმა აღმოაჩინეს დაკარგული აპარატი ბარიათინსკის ქუჩაზე, 11, იმ სახლში, სადაც მოთავსებულია საველე კინემო თეატრი და დაუბრუნეს დირექტორს. აღმოჩნდა, რომ აპარატი მოუპარავს ამავე გიმნაზიის მექანიკოსს სერგი ტოპორკოვს, რომელიც გამოტყდა ქურდობაში და ეხლა დაჭერილია. საქმე გადაეცა გამომძიებელს.

სხვა და სხვა.

◆ მთავრობის თავმჯდომარეს ფოთიდან ივლისის 28 თარიღით შემდეგი დეპეშები მოუვიდა:

„დღეს გამომიცხადეს აფხაზეთის კომისარიატის ბრძანება, რომლის ძალითაც 7 დღის განმავლობაში უნდა გადამასახლონ. მიზეზი ჩემი წერილებია გაზეთებში, რომელთაც კომისარიატი პროვაკატორულად სთვლის. გთხოვთ გამოძიება დანიშნოთ; მე არ მეშინია სასჯელის. მე ვთხოულობ სიმართლეს. ზემო ნათქვამი საბუთია მოქალაქეობრივ უფლების გაუქმებისა.

მომრიგებელ მსაჯულთა თავმჯდომარე ნიკო თავდგირიძე.

II. „სოხუმის საზოგადოება განურჩევლად ეროვნებისა აღელვებულია აფხაზეთის კომისარიატის დადგენილებით ნიკო თავდგირიძის გადასახლების შესახებ. მიზეზი გადასახლებისა არის გაზ. „საქართველოში“ აფხაზეთის შესახებ მოთავსებული მისი წერილები. როგორც არ უნდა სცდებოდეს ამ წერილების ავტორი ეს არ იძლევა არავითარ საბუთს ისეთი დამსახურებული და უანგარო მოღვაწის გადასახლებისათვის, როგორიც არის ნიკო თავდგირიძე. ჩვენ, ისეთი ადამიანის შეურაცხყოფით აღელვებულნი, რომელიც მუდამ ეტრფოდა საქართველოს თავისუფლებას და რომელსაც, როგორც ყოფილ ქალაქის თავს, დაუფასებელი სამსახური გაუწევია ქ. სოხუმისთვის,—ვთხოულობთ საქართველოს მთავრობისგან კომისარიატის მიერ ჩადენილ სასტიკ უსამართლობის გამოსწორებას. საზოგადოების მონდობილებით იოსებ ლალუა, ბეჟ. გვალია, ვლად. ემუხვარი, ვლადიმ. მარშანია და ვ. ანჩაბაძე.

◆ ტეხნიკურ საზ-ბის სატერმინო კომისიამ უკვე შეიმუშავა 8.500-მდე ტერმინი ტეხნიკის და მასთან დაკავშირებულ სხვად-სხვა სამეცნიერო დარგებიდან. ამ კვირაში ინჟ. ვ. კაკაბაძე და რ. ნიკოლაძე-პოლიევქტოვისა საზოგადო კრებას გააცნობენ კომიის ნამუშევარს, მისი სახელმძღვანელო პრინციპებს და სისტემას.

◆ დღეს, 29 ივლისს, საღამოს 7 საათზე, საშუალო ტეხნიკურ სასწავლებელში (დიდი მთავრის ქ. № 70) ინჟ. ს. ფირალაშვილი წაიკითხავს მოხსენებას: „საერობო ტეხნიკის მიზნები თა ტეხნიკური მუშაობა ტფილისის ერობაში“.

◆ ჩვენს რედაქციას ჭყონდიდის საეპარქიო საბჭოსაგან მოუვიდა სახელმწიფო ბანკის გადაზავნითი ბილეთი 264 მ. და 65 კაპ. აღნიშნული ფული მოგროვილია სამრევლოებში სომხებთან ომში მონაწილე ჯარისკაცთა და მათი ოჯახების სასარგებლოთ.

◆ რადგანაც ფრონტის დღის მომწყობმა მთავარმა კომიტეტმა დაადგინა თავის მუშაობის და ანგარიშების განსახილველად მოიწვიოს საკანტროლო კომისია გვარდიის და დამფუძნებელ კრების წარმომადგენელთაგან შემდგარი ფრონტის დღის მომწყობი კომიტეტი ყველას სთხოვს, დაუყონებლივ ჩააბარონ „ფრონტის დღის“ კასის ანგარიშები.

◆ ანდრეევის ქუჩაზე ილარიონ გოგესაშვილს 25 ივლისს ღამე ბინიდან მოპარეს ფული და სხვადასხვა საგნები 10000 მანეთისა.

◆ 26 ივლისს ღამე დავ. ნასიბოვის და ამხ სავაჭროდან გატეხეს და წაიღეს 214.500 მ. ფულად და სვადასხვა საგნები.

◆ სურპ-კარაპეტის აღმართზე 27 ივლისს შუადღის 4 ს. მოკლეს ანდრანიკ მაშინიანცი. მკვლელი ფარსეღ მაშინიანი დააპატიმრეს.

◆ 26 ივლისს საღამოს 8 საათზე უცაბედათ რევოლვერით მიხ. კუტალაძემ თავში მძიმეთ დასჭრა ამირან ქაჯაია. კუტალაძე დააპატიმრეს.

განცხადებანი

დაკარგულია ტფილისის პირველ კერძო ლომბარდის ბილეთი № 79360, 50 მან.

1027 3—1

პორფირე ელიზბარის ძე იობაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი მიღებული ტფილისის პოლიცმეისტერის კანცელარიიდან 1907 წ. გაუქმებულათ ითვლება.

1014 3—1.

მაშადი ალი-უსეინ ასკერ-ზადე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ნასყიდობის სიგელი. გაუქმებულათ ჩაითვალოს.

957 3—1

გიორგი ალექსანდრეს ძე ჭაჭიაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი მიღებული ყვირილის ქალ. გამგეობიდან. გაუქმებულათ ითვლება.

1022 3—1

ვალერიან ვასილის ძე მუმლაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი მიღებული შორაპნის მამასახლისისგან 18 ენკენისთვეს 1915 წ. № 174 და სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა მიღებული პირველი პოლკის მე 14 გუნდიდან 20 მაისს, 1919 წ. გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს.

1023 3—1

მე ბეგალაშვილმა ტიგრანმა დავკარგე მოწმობა № 562, საქართველოს რესპუბლიკის საპყრობილეთა მხლებელთა რაზმის უფროსისაგან მიცემული ამა წლის ივნისის 16 თარიღით გთხოვთ გაუქმებულათ ჩაითვალოს.

1019 3—1

1918 წ. აპრილის 7-ს ტფილისის ოლქ. სასამართლოს უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ლევან და ივანე ილიას ძეთ აფხაზებმა (?) მიჰყიდეს კახეთის რკინის გზის საზოგადოებას მიწის ნაჭერი, ზომით 478 კვ. ს. მდებარე აგარაკ ჭალაუბანში, სიღნ. მაზრა, ტფ. გუბ.

გადახდილია: საქტო 3 მან., განცხ. 1 მან. 50 კ., გადასაწ. 60 კ., სიმტკიცის 2 მ.

მთავარი ამონაწერი 22 კ. ღირებულების საღერბო ქაღალდზე მიცემულია. 284 1—1

ცენტრალური სასურსათო საბჭო
ყიდის კენჭ მარილს
ოც მანეთად ფუთს ფრანკო თავის საწყობში. მარილის შეძენა შეუძლიათ როგორც საზოგადო დაწესებულებას, ისე კერძო პირთ. მისამართი: მადათოვის ქ. № 3.
1319 3—2

სტამბა საქართველოს მთავრობისა
დროებითი რედაქტორი ვიქტორ ნოზაძე